

## **საგამომცემლო ეთიკა**

საგამომცემლო საქმეში ჩართული ყველა სუბიექტისათვის აუცილებელია ეთიკურ ნორმებზე შეთანხმება. ჟურნალ „ეკონომიკური პროფილის“ ეთიკური კოდექსი ეფუძნება საგამომცემლო ეთიკის კომიტეტის საუკეთესო პრაქტიკულ პრინციპებს Committee on Publication Ethics <https://publicationethics.org/>.

## **მთავარი რედაქტორის მოვალეობები**

### სამართლიანობა

ჟურნალში წარმოდგენილი ნაშრომები ფასდება მათი ინტელექტუალური შინაარსის მიხედვით, განურჩევლად ავტორთა რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური წარმოშობის, მოქალაქეობის ან პოლიტიკური შეხედულებებისა.

### კონფიდენციალურობა

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია ვალდებული არიან წარმოდგენილი ნაშრომის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია არ მიაწოდონ სხვა, გარეშე პირებს. სტატის ავტორ(ებ)ს ეცნობება მხოლოდ რეცენზენტ(ებ)ის დასკვნა და საჭიროების შემთხვევაში შენიშვნები გასასწორებლად. რეცენზენტ(ებ)ის ვინაობა რჩება კონფიდენციალურად.

### ინტერესთა კონფლიქტი

განსახილველად წარმოდგენილი გამოუქვეყნებელი მასალები არ უნდა იქნეს გამოყენებული გამომცემლის საკუთარ კვლევაში, ავტორ(ებ)ის წერილობითი თანხმობის გარეშე.

### საგამომცემლო გადაწყვეტილებები

ჟურნალის მთავარი რედაქტორი პასუხისმგებელია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება წარმოდგენილი სტატიების გამოქვეყნების შესახებ. მთავარმა რედაქტორმა უნდა იხელმძღვანელოს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებით და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებით, რომ არ ქონდეს ადგილი ცილისწამების, საავტორო უფლებების დარღვევის და პლაგიატობის ბრალდებებს.

### **რეცენზენტების მოვალეობები**

## პუბლიკაციის შესახებ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა

რეცენზენტები ეხმარებიან მთავარ რედაქტორს პუბლიკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში და ავტორთან საგამომცემლო ფორმატში მისაღები კომუნიკაციის მეშვეობით (ზემო აღნიშნული კონფიდენციალურობის დაცვით), შეიძლება დაეხმარონ ავტორსაც ხელნაწერის გაუმჯობესებაში.

## თავისდროულობა

თუ რეცენზენტ(ებ)ი მიიჩნევს თავს არაკვალიფიციურად კონკრეტული ნაშრომის განხილვაში, ან ვერ შეძლებს მის დროულად რეცენზირებას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მთავარ რედაქტორს.

## კონფიდენციალურობა

რედაქციაში წარმოდგენილი ნებისმიერი ნაშრომი, ითვლება კონფიდენციალურ დოკუმენტად. მისი სხვა პირებისთვის ჩვენება დაშვებულია მხოლოდ მთავარი რედაქტორის ნებადართვით.

## ობიექტურობის სტანდარტები (ნორმები)

რეცენზენტებმა უნდა შეაფასონ ნაშრომი ობიექტურად, ჟურნალის მიერ დაწესებული შეფასების სისტემის მიხედვით.

## წყაროების აღიარება (დადასტურება)

რეცენზენტებმა უნდა მოახდინონ ნაშრომში გამოყენებული იმ წყაროების იდენტიფიცირება, რომელიც არ ყოფილა ციტირებული ავტორების მიერ. რეცენზენტმა მთავარი რედაქტორი უნდა ჩააყენოს საქმის კურსში, ნებისმიერი არსებითი მსგავსების ან წარმოდგენილ ნაშრომსა და უკვე გამოქვეყნებულ მონაცემებს შორის გადაცდენის აღმოჩენის შემთხვევაში.

## ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა

რეცენზენტებისგან მიღებული მოსაზრებები კონფიდენციალურია და არ უნდა იქნას გამოყენებული პირადი მიზნებისთვის. ხელნაწერის რეცენზენტებად არ უნდა იქნეს არჩეული ის ადამიანები, რომელთაც აქვთ რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი წარმოდგენილი ნაშრომის

ნებისმიერ ავტორთან/კომპანიასთან/ორგანიზაციასთან გამომდინარე კონკურენტული, თანამშრომლობითი, ან სხვა რაიმე სახის ურთიერთობიდან ან კავშირიდან.

## ავტორთა მოვალეობები

### ანგარიშგების ნორმები/სტანდარტები

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა შეიცავდეს ობიექტურ მსჯელობას და ორიგინალური კვლევის შედეგებს. ხელნაწერში დიდი სიზუსტით უნდა იქნეს წარმოდგენილი ძირითადი მონაცემები. თაღლითობა, განზრახ მოცემული არაზუსტი ინფორმაცია და აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინება მიუღებელია ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკისათვის.

### ორიგინალობა და პლაგიატი

ავტორებმა უნდა დაასაბუთონ, რომ მათ მიერ შესრულებული ნაშრომი ორიგინალს წარმოადგენს. ავტორებმა გამოყენებული წყაროები, ციტატები და ამონარიდები წყაროებიდან, რომლებმაც წარმოდგენილი ნაშრომის შინაარსზე გადაწყვეტი გავლენა მოახდინა, უნდა მიუთითონ ჟურნალში არსებული წესის შესაბამისად, აკადემიური პატიოსნების ნორმების სრული დაცვით. გამოსაქვეყნებელმა ნაშრომმა უნდა დააკმაყოფილოს „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პლაგიატის დებულებით“ გამოსაქვეყნებელი სტატიების მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები.

### მრავალჯერადი ან კონკურენტული პუბლიკაცია

ჟურნალისათვის მიუღებელია და ითვლება არაეთიკურ საპუბლიკაციო საქციელად ერთი და იგივე ხელნაწერის ერთზე მეტი ჟურნალისთვის პარალელური წარდგენა.

### ხელნაწერის ავტორობა

ავტორობა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ პიროვნებებზე, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წარმოდგენილი კვლევის კონცეფციაში, დიზაინში, შესრულებასა თუ ინტერპრეტირებაში. ყველა, ვინც შედარებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ჩამოთვლილ უნდა იქნეს, როგორც თანაავტორი. პირველმა ავტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა არსებული თანაავტორი (ზემოთ აღნიშნული განსაზღვრების თანახმად), შევიდეს ხელნაწერის ავტორთა ჩამონათვალში და რომ ყველა ავტორმა უნდა ნახოს და დაადასტუროს ნაშრომის საბოლოო ვერსია და მოხდეს მისი გამოსაქვეყნებლად წარდგენის შეთანხმება.

## გამჭვირვალობა და ინტერესთა კონფლიქტი

ავტორმა უნდა დააფიქსიფროს, თუ არსებობს რაიმე ფინანსური ან სხვა არსებითი ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგებზე ან ნაშრომში მათ ინტერპრეტაციაზე. პროექტის ფინანსური მხარდაჭერის ყველა წყარო უნდა იყოს ყველასათვის გამჭვირვალე/ცნობილი.

## ფუნდამენტური შეცდომები გამოქვეყნებულ ნაშრომში

როდესაც ავტორი აღმოაჩენს მნიშვნელოვან შეცდომას ან უზუსტობას თავის გამოქვეყნებულ ნაშრომში, ავტორის ვალდებულებაა, დაუყოვნებლივ (სასწრაფოდ) აცნობოს ამის შესახებ რედაქტორს ან გამომცემელს და ითანამშრომლოს მასთან. ეს აუცილებელია ნაშრომის ნომრიდან ამოღებისათვის ან მისი შესაბამისი ჩასწორებით გამოქვეყნებისათვის.

## **გამომცემლის თანხმობა**

იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირდა სავარაუდო ან დამტკიცებული მეცნიერული გადაცდომა, თაღლითობა ან პლაგიატი, გამომცემელმა უნდა იზრუნოს შესაბამისი ანგარიშის გამოქვეყნებაზე, სადაც მითითებული იქნება დაშვებული შეცდომა და შეცდომის გასწორება ან უფრო სერიოზულ შემთხვევებში, მოახდინოს შესაბამისი ნომრიდან აღნიშნული სტატიის მთლიანად ამოღება.